საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

მიგრანტი

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

№13 / 2016

ყველაზე ტკბილი, გემრიელი და წარმატებული გამოცდა

შვიდი მიგრანტი ქალბატონი ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ კონდიტრის პროფესიას დაეუფლა. სასწავლო კურსი მიგრანტებმა პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში გაიარეს. პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური და ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში. პროექტს ახორციელებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ტირამისუ, პავლოვკა კენკრით, შოკოლადის ტორტი შოკოლადის განაშით, ატმის ტორტი, ლიმონის მაფინები, კრუასანები ცხელი სიროფით, ფენოვანი ცომის მილაკები ცივი კრემით, ქადები – ეს იმ დესერტების ჩამონათვალია, რომლებიც მომავალმა მიგრანტმა კონდიტრებმა გამოცდაზე მოამზადეს. დროის დაზოგვისა და მოწყენილობის თავიდან აცილების მიზნით, პედაგოგის თხოვნით ნახევარფაბრიკატები ერთი დღით ადრე მოამზადეს: ტორტის ბისკვიტები, პალოვკის ბეზე...

გამოცდა თეორიული მასალით დაიწყო. საგულდაგულოდ შედგენილ ტესტებს გამოსაცდელები ერთი საათის განმავლობაში ასრულებდნენ და წარმატებით ჩაბარეს კიდეც. გამოცდის ყველაზე საინტერესო – პრაქტიკული ნაწილისთვის პედაგოგებიც და სტუდენტებიც განსაკუთრებით ემზადებოდნენ. დასაწყისში ღელავდნენ კიდეც, მაგრამ როგორც კი საქმეს შეუდგნენ, მათ ყურადღება დესერტების მომზადებაზე გადაიტანეს და მღელვარებაც გაქრა. საგამოცდო მენიუც საგანგებოდ შერჩეული იყო: მოკლე დროში მოსამზადებელი, ჩვეულებრივი და ცივი (ტირამისუ და პავლოვკა კენკრით) დესერტი.

ტკბილი, ლამაზად გაფორმებული და გემრიელი დესერტების მომზადებას სტუდენტებმა დაახლოებით საათ-ნახევარი დაუთმეს. საკონდიტრო მაგიდა დესერტებით დაიტვირთა. კომისიის წევრები ერთმანეთის მიყოლებით აგემოვნებდნენ სხვადასხვა სახის ტკბილეულს და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. „ჩვენს თვალწინ რომ არ მოემზადებინათ, ვერ დავიჯერებდით რომ ეს ყველაფერი გამოცდაზე, თანაც სტუდენტებმა მოამზადეს! სასიამოვნოდ გაოცებულები ვართ! ყოჩაღ კონდიტრის სპეციალობის პედაგოგებს - ინგა ჟიჟავაძეს და ლია ნიჟარაძეს, უდავოდ კარგად უმუშავიათ!“

გარდა კომისიის წევრებისა, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ პედაგოგები და სტუდენტებიც. თავიანთი ნახელავით ამაყობდნენ და თამამად აწვდიდნენ დაგემოვნების მსურველებს.

ირმა ანანიძე „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი კურსდამთავრებულია. კონდიტერიის შესწავლა ადრეც სურდა, მაგრამ ოჯახის ფინანსური შემოსავლებით ვერ შეძლო. მოგვიანებით ახლობლის საკონდიტროში დაიწყო სტაჟიორად სიარული და სწავლა, მაგრამ როცა ქობულეთის ერთ-ერთ საკონდიტროში ვაკანსია გაჩნდა, შემოთავაზების მიუხედავად ვერ დასაქმდა, რადგან კონდიტრის სპეციალობის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი არ ჰქონდა.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ და ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესახებ ირმა ანანიძეს კონდიტრების პედაგოგმა ლია ნიჟარაძემ ურჩია. მერე „ინტელექტის“ თანამშრომლებს დაუკავშირდა, საჭირო დოკუმენტები შეაგროვა და ექვს ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტთან ერთად სწავლა დაიწყო. შედეგით კმაყოფილია. ამბობს, რომ ბევრი ისეთი საკონდიტრო ნაწარმის მომზადება ისწავლა, რაზეც მანამდე წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგალითად, ტორტების გასაფორმებელი შაქრის ფიგურების მომზადება. ირმა ანანიძე მიიჩნევს, რომ მის მიერ არჩეული პროფესია ქობულეთის შრომის ბაზარზე მოთხოვნადია და იმედოვნებს, რომ არც სამსახურის ნახვა გაუჭირდება. „სხვა თუ არაფერი, ოჯახში შეიძლება შაქრის ფიგურების მომზადება და საკონდიტროებში ჩაბარება“, – აღნიშნა მან. ანანიძე მადლობას უხდის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ და „ახალი ტალღის“ პედაგოგს ლია ნიჟარაძეს: „ინტელექტმა“ შეაძლებლობა მომცა, გავმხდარიყავი პროფესიონალი და სერტიფიკატიანი კონდიტერი. რომ არა ეს ორგანიზაცია, ალბათ ვერ მოვახერხებდი სწავლას. მადლობა ამ შესაძლებლობისთვის, კეთილი ნებისთვის და კიდევ ბევრი ჩემნაირი მიგრანტის გახარებისთვის. მადლობა ლია მასწავლებელს, რომელიც სამი თვის განმავლობაში გვერდში გვედგა, გულდასმით გვიხსნიდა ყოველივეს და გვასწავლიდა, თავის ძალებს არ იშურებდა, რომ აქამდე მოვეყვანეთ. დღეს რომ მის სახეზე ღიმილს ვხედავ, მიხარია. ეს იმას ნიშნავს, რომ გავუმართლეთ თითოეულმა ჩვენგანმა და ისიც ბედნიერია. ჩვენი და ლია მასწავლებლის წარმატებაზე ჩვენ მიერ გამოცდაზე მომზადებული დესერტები მიუთითებს!“

ირმა ანანიძე გავლილი სასწავლო კურსით კმაყოფილია და ახლობლებსაც ურჩევს „ინტელექტს“ მიმართოს.

„ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ მანანა ბაჟუნაიშვილი მეგობრის რჩევით ჩაერთო. მან სხვა მიგრანტ ქალბატონებთან ერთად კონდიტერის კურსი გაიარა და შედეგით კმაყოფილია: „ძალიან საინტერესო და სასარგებლო პროექტია. კოლეჯში პირობებიც კარგია, ვინც დაინტერესებულია სასურველი პროფესიის შესაბამისად ნამდვილად ბევრ რამეს ისწავლის. აქამდე ოჯახში ვამზადებდი ტკბილეულს მხოლოდ. ახლა შემიძლია ცოტათი წინ წავიდე და შეკვეთებიც მივიღო, მაგალითად, ტორტებზე. აქ გავაცნობიერე, რომ თურმე ბევრ რამეს არასწორად ვაკეთებდი... ახლა ვისწავლე და კმაყოფილი ვარ! გამიხარდება ეს პროექტი კიდევ თუ გაგრძელდება და ბევრ ჩვენნაირ გაჭირვებულ მოქალაქეს მიეცემა სწავლის შესაძლებლობა, ვინც დამოუკიდებლად, თავისი ხარჯებით ვერ ახერხებს. ჩემს ნაცნობ-მეგობრებში უკვე ბევრს ვურჩიე „ინტელექტს“ დაუკავშირდეს და ეს შანსი გამოიყენოს.“

მანანა ბაჟუნაიშვილი 46 წლისაა. ამბობს, რომ „ასაკი განათლებას ვერც ერთ ეტაპზე ხელს ვერ შეუშლის. თუ მონდომებულია ადამიანი, ნებისმიერ ასაკში მოახერხებს სწავლას! ყოველი ლექცია ძალიან საინტერესო და სასარგებლო იყო, მაქსიმალურად ვცდილობდი არ გამეცდინა და ყველაფერ იმის მომზადება მესწავლა, რასაც მასწავლებელი გვასწავლიდა. ვფიქრობ, ვინც საკუთარ თავში აღმოაჩენს, რომ ეს სფერო აინტერესებს, ასაკის მიუხედავად სწავლა უნდა დაიწყოს. მადლობა „ინტელექტს“ ამ შანსის მოცემისთვის და წარმატებები ყველას, ვინც ჩემთან ერთად სწავლობდა კონდიტრობას და იმათაც, ვინც ჩვენს გზას გაყვება მომავალში. ეს უდავოდ ხელოვნების ყველაზე ტკბილი, ლამაზი და გემრიელი სახეობაა.“

ლია ლამპარაძეც კონდიტერის კურსდამთავრებულია. პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ბიცოლას რეკომენდაციით ჩაერთო და შედეგით კმაყოფილია: „ეს იყო ძალიან საინტერესო სამი თვე. ვისწავლე სხვადასხვა სახის დესერტების მომზადება. შევიძინე მეგობრები... მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, საქმეს ყველა ერთნაირი მონდომებით და ინტერესით ვაკეთებდით. ასაკი ბარიერს არც ურთიერთობაში გვიქმნიდა და არც სწავლაში. რამდენადაც ტკბილ დესერტებს ვამზადებდით, ურთიერთობაც ასეთივე ტკბილი გვქონდა. მართალია, ყველა სახის დესერტის მომზადების შესწავლას დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს და უკვე დამოუკიდებლად შემიძლია მომზადება, მაგრამ განსაკუთრებით ქადების და ტორტების გაკეთება მიყვარს. მომავალში მინდა ამ მიმართულებით ვიმუშაო... მადლობა „ინტელექტს“ ასეთი კარგი პროექტისთვის, იმ ადამიანების ხელშეწყობისა და გახარებისთვის, ვინც დამოუკიდებლად სწავლას ვერ ახერხებს, ვინც ბუნებამ არ დაინდო და ღია ცის ქვეშ ბედის ანაბარა დატოვა (გულისხმობს ეკომიგრანტებს, ავტ.), ვინც იძულებულია სამუშაო სხვა ქვეყანაში ეძებოს, თუნდაც ნაკლებად პრესტიჟული და დაბალანაზღაურებადი... ეს შემოთავაზება ნამდვილად ჩვენი შანსია!“

წარმატებული ბენეფიციარი

სტილისტი რუსუდან სურმანიძე

„უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ავტორს, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გუნდს, რომლებიც მაქსიმუმს აკეთებენ, რათა პროექტი წარმატებით განხორციელდეს და აჭარის რეგიონში მცხოვრები ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტების მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მიმაჩნია, რომ ეს სასიკეთო საქმე არაჩვეულებრივად გამოსდით და ეს ჩვენს – შრომითი და ეკოლოგიური მიგრანტების მდგომარეობაზე აისახება. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ „ინტელექტის“ ხელშეწყობით მივაღწიე წარმატებას, პროფესია შევიძინე, რაზედაც მანამდე ვოცნებობდი, ჩემთვის გულში ვფიქრობდი და გეგმებს ვანყობდი.

„ინტელექტის“ წყალობით ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. ამ ორგანიზაციის დამსახურებაა ის, რომ დავხელოვნდი, ჩემი პროფესია მაქვს – სტილისტი გავხდი. სურვილი შემისრულდა, მიზანს მივაღწიე - უკვე ჩემი პროფესიით ვმუშაობ ბათუმში, სილამაზის სალონში „ლი&მა“.

ეს საქმე აქამდე არ მიკეთებია, მოყვარულის დონეზეც კი. სწავლის შანსი რომ გამიჩნდა, გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღე, მაგრამ ახლა კმაყოფილი ვარ: ის ნაბიჯი გადავდგი, რამაც პროფესია შემძინა, სამუშაო მომცა... ყველაფერი ქობულეთში, კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ვისწავლე. არაჩვეულებრივი მასწავლებელი გვყავდა, თამარ ემირიძე. მისი წყალობით თამამად შემიძლია ახლა ნებისმიერი ვარცხნილობის გაკეთება. დიდად კმაყოფილი ვარ იქ სწავლით, პერსონალის ყურადღებით, იქ არსებული თბილი და ოჯახური გარემოთი...

თავდაპირველად ვარცხნილობებს მანეკენებს ვუკეთებდით, თმას ვუღებავდით, ვუხვევდით, მელირებას ვუკეთებდით... მერე – ერთმანეთს, ახლა კი უკვე ჩვეულებრივ კლიენტებს ვუკეთებ ვარცხნილობებს.

აქამდე შრომითი მიგრანტი ვიყავი, თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ სტამბოლში ვმუშაობდი ტექსტილის ფაბრიკაში. პირობებს არა უშავდა, ანაზღაურებაც ნორმალური მქონდა, მაგრამ ოჯახის დატოვებად არ მიღირდა. მესამე თვეა აქ, ჩემს ქვეყანაში, მშობლიურ გარემოში შევძელი სამსახურის შოვნა, თავს აღარ ვთვლი შრომით მიგრანტად და ეს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ დამსახურებაა!

რუსუდან სურმანიძე

ამ ორგანიზაციამ იცით კიდევ რა მომცა? ჩემს შესაძლებლობებში დამარწმუნა და მიმახვედრა, რომ ბრძოლა ნამდვილად ღირს მიზნის მისაღწევად. კიდევ ახალი მეგობრები შევიძინე, რომლებთანაც ბევრი მაქვს საერთო: სტატუსი, სოციალური მდგომარეობა, პროფესია... ძალიან კმაყოფილი ვარ მათთან ურთიერთობით და არ მინდა დროთა განმავლობაში დავკარგო... ძალიან კარგი ჯგუფი ვიყავით, კარგად გავუგეთ ერთმანეთს... პედაგოგიც ძალიან კარგი გვყავდა. ყველა ერთ მუშტად შეკრული ვიყავით, კარგად და მეგობრულად.

ჩემი პროფესია ძალიან მომწონს, უფრო მეტიც: მიყვარს. ყველა პროცედურას სიამოვნებით ვასრულებ, მაგრამ ყველაზე მეტად დავარცხნის პროცედურა მიყვარს.

სალონში – „ლი&მა“ მეგობრის რეკომენდაციით მივედი. უკვე სამი თვეა ვმუშაობ. კლიენტებიც არიან. რაც დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები, რომ საჭირო და პერსპექტიული პროფესია შევისწავლე და ამით ძალინ კმაყოფილი ვარ!

ყველა მიგრანტს ვურჩევ, ჩაერთოს „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, მისცენ საკუთარ თავს შანსი მშობლიურ ქვეყანაში მოთხოვნადი პროფესიის შესწავლისა და დასაქმებისა.“

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე
მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის №18
ტელ: 24 16 40; **ფაქსი:** 24 16 50; **მობ:** 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge;
ვებგვერდი: www.intellect.org.ge